ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 2

“30” იანვარი 2026 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №26.23.12 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

დანართი N1

ქალაქი თბილისი, ლიბანის შესახვევი N22 (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008)					
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	გელა მოლოდინი	01004012880	სართული 3	98.7	01.11.03.009.008.01.503
2	ლეილა წიკლაური	01004001184	სართული 5	84.69	01.11.03.009.008.01.505
3	გოჩა ალბუთაშვილი	01004005220	სართული 7	84.69	01.11.03.009.008.01.508
4	დალი კოჩივარი	01019040202	სართული 9	84.69	01.11.03.009.008.01.506
5	კობა ლომიძე	57001017440	სართული 6	112.23	01.11.03.009.008.01.504
6	გიორგი მირიანაშვილი	01001080651	სართული 9	66.75	01.11.03.009.008.01.507
7	სოფიო სვანიძე	01004012746	სართული 9	46.96	01.11.03.009.008.01.502